

## მოსწავლის სამუშაო მასალა

### მუხლი 1

ყველა ადამიანი, ვისაც ჯერ არ შესრულებია 18 წელი, ითვლება ბავშვად.

### მუხლი 6

ყველა ბავშვს აქვს სიცოცხლის უფლება და სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს ბავშვის განვითარებაზე.

### მუხლი 7

ბავშვს დაბადებისთანავე აქვს უფლება, ჰქონდეს სახელი, გვარი და მოქალაქეობა. ასევე უფლება აქვს, იზრდებოდეს მშობლების გარემოცვაში.

### მუხლი 8

სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას და, საჭიროების შემთხვევაში, აღადგინოს ბავშვის პიროვნულობის გამომხატველი ძირითადი ნიშნები: სახელი, მოქალაქეობა და ოჯახური კავშირები.

### მუხლი 22

სახელმწიფომ განსაკუთრებულად უნდა იზრუნოს ლტოლვილ ან ლტოლვილობის სტატუსის მიღების მოსურნე ბავშვზე და, საჭიროების შემთხვევაში, დაეხმაროს მას მშობლების მოძებნაში.

### მუხლი 26

სახელმწიფო უნდა დაეხმაროს იმ ბავშვებსა და ოჯახებს, რომელთაც ეს სჭირდებათ.

### მუხლი 39

სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს ბავშვის მკურნალობა, თუ იგი დაზარალდა შეიარაღებული კონფლიქტის, წამების, ან სასტიკი მოპყრობის დროს და იზრუნოს იმისთვის, რომ ჩამოყალიბდეს საზოგადოების ნორმალურ წევრად.

<b>ლექსიკონი</b>	
<b>ტერმინი</b>	<b>განმარტება</b>
<b>სეპარატიზმი</b>	ეროვნულ უმცირესობათა სწრაფვა სახელმწიფოსაგან გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისაკენ
<b>სლენგი</b>	მეტყველების არაფორმალური, არასტანდარტული სახეობა, რომელსაც ახასიათებს ახლად გამოგონებული ან ახალი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვები და გამონათქვამები. გამოიყენება სხვადასხვა დაჯგუფებებში (პროფესიული, ასაკობრივი, სოციალური)
<b>ექსპრესია</b>	„გამოხატვა“-რაიმე განცდის, გრძნობის გამოხატვის ძალა,გამომსახველობა.
<b>ექსპრესიული</b>	ექსპრესიის ხასიათისა,გამომეტყველებითი, გამომსახველობითი.

**შესავსები სქემა**

	ტექსტი	ფილმი
სათაური		
გარემოებები		
მთავარი პერსონაჟები		
პრობლემა		
რის მიღწევა უნდოდა მთავარ პერსონაჟს?		
როგორ გადაწყდა პრობლემა?		
თემა-იდეა		

შეკითხვა	სავარაუდო პასუხები
რატომ უწოდა მწერალმა მოთხრობას „მოგზაურობა აფრიკაში“	
„იმ ღამით უამრავი ცხოველი მოვიდა...“ რისი თქმა სურს ავტორს ამ ფრაზით?	
ფილმში არის ისეთი ეპიზოდები, რომლებიც ტექსტში არ გვხდება (თედოს დედის ურთიერთობა უცხო მამაკაცთან, ენგურის ხიდთან ახალგაზრდა ბიჭის მოკვლა მესაზღვრეების მიერ, თედოს იძულებითი ცეკვა..) როგორ ფიქრობთ, რატომ ჩართო ეს დეტალები რეჟისორმა?	
თქვენ ნახეთ ფილმი „გაღმა ნაპირი“ და „აფხაზეთის ომის უცნობი ბიჭები“ რა მსგავსება განსხვავებაა მთ შორის?	

ცხრილი - პრობლემის გადაწყვეტისას, ვის უფრო მეტი პასუხისმგებლობა ენიჭება?

გთხოვთ, მიანიჭოთ ქულები:

ვისაც მეტ პასუხისმგებლობას ანიჭებთ „აღნიშნეთ ციფრით-„1“ ... და ა.შ.

ოჯახი	სახელმწიფო	სამოქალაქო საზოგადოება	სკოლა